სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის
სოფელ წირქვალის საჯარო სკოლა

საქართველო, ჭიათურა, სოფელი წირქვალი
ტელ: 577 977 443

LEPL CHIATURA MUNICIPALITY
VILAGE TSIRKVALI PUBLIC SCHOO

Georgia, Chiatura, Vilage tsirkvali
tel: 577 977 443

05/12/2025

MES 1 25 0001735823

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გა-ცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიშს:

ა) სკოლაში სულ 3 მოთხოვნა შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ მოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ)დაკმაყოფილდა 3 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ)საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხიმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სკოლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. სკოლის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ამასთან სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	3
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა	0
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მოღებული გადაწყვეტილება	0
საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე მოთხოვნა	0
პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე მოთხოვნა	0
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯებით, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.	0

იმერეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ წირქვალის
საჯარო სკოლა
დირექტორი
ტაბატაძე მზევინარ